აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

დადგენილება № 9[1]

1 ივნისი 2004 წ. ქ. ბათუმი

ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების შესახებ

მუხლი 1.

1. საუბნო საარჩევნო კომისიები ამომრჩეველთა სიის ფორმირების პროცესს ახორციელებენ 2004 წლის 3 ივნისიდან 13 ივნისის ჩათვლით.

2. ამომრჩეველთა სიის ფორმირების მიზნით:

ამომრჩეველი მიდის შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიაში, სადაც საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები ავსებენ მოქალაქეთა საარჩევნო რეგისტრაციის განაცხადის ფორმას (ფორმა № 4-2.0202);

3. განაცხადი უნდა დამოწმდეს საუბნო საარჩევნო კომისიის იმ წევრის ხელმოწერით, რომელიც ახორციელებს მოქალაქეთა საარჩევნო რეგისტრაციას და პასუხისმგებელია განაცხადში შეტანილი მონაცემების სისწორესა და სრულყოფაზე.

ფორმის შევსებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ამომრჩევლის:

ა) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა და საქართველოს მოქალაქის რეგისტრაციის მოწმობა;

ბ) საქართველოს მოქალაქის პასპორტი და რეგისტრაციის მოწმობა;

გ) სსრ კავშირის სიმბოლიკიანი პასპორტი (თუ მასში აღნიშნულია მოქალაქის რეგისტრაციის ადგილი);

დ) დევნილის მოწმობა პირადობის დამადასტურებელ საბუთთან ერთად;

ე) სამხედრო ბილეთი (სამხედრო ნამსახურობის ბარათი) რეგისტრაციის მოწმობასთან ერთად;

ვ) სოფელში, თემსა და დაბაში მცხოვრები საქართველოს მოქალაქისათვის, ასევე, ამომრჩევლის მოწმობა.

4. განაცხადის სრულად შევსებისთანავე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი ამომრჩეველს გადასცემს განაცხადისაგან პერფორაციით გამოყოფილ, შევსებულ ამომრჩევლის ბარათს (ფორმა №7-1.02.01)

5. განაცხადის ნომერი უნდა შეესაბამებოდეს შესაბამისი ამომრჩევლის რიგით ნომერს ამომრჩეველთა ერთიან სიაში.

6. საუბნო საარჩევნო კომისია მოქალაქეთა საარჩევნო რეგისტრაციის განაცხადის საფუძველზე ადგენს ამომრჩეველთა ერთიან (საბაზისო) სიას (ფორმა №4–1.03.01).

7. საუბნო საარჩევნო კომისია ამომრჩეველთა ერთიანი (საბაზისო) სიის ფორმებს 2004 წლის 8,10 და 13 ივნისს გადასცემენ საოლქო საარჩევნო კომისებს. მათთან ერთად საოლქო საარჩევნო კომისიებს გადაეცემა მოქალაქეთა საარჩევნო რეგისტრაციის განაცხადების ფორმები (ფორმა № 4-2.02.02), რომელიც იქნება შეკრული და აკინძული.

8. ამომრჩეველთა ერთიანი სიის (საბაზისო) თითოეული ფურცელი სათანადო წესით უნდა იქნეს დამოწმებული:

ა) საუბნო საარჩევნო კომისიაში:

ა.ა) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს უფლებამოსილი პირის ან/და ა.ა.რ შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილი პირის ხელმოწერით;

ა.ბ) საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერით;

ა.გ) მოქალაქეთა საარჩევნო რეგისტრაციის განხორციელებაზე პასუხისმგებელი კომისიის წევრის ხელმოწერით;

ბ) საოლქო საარჩევნო კომისიაში:

ბ.ა) კომისიის ბეჭდით;

ბ.ბ) საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერით;

ბ.გ) საოლქო საარჩევნო კომისიის მდივნის ხელმოწერით;

9. საოლქო საარჩევნო კომისიები ვალდებულნი არიან არაუგვიანეს 2004 წლის 9,11 და 14 ივნისისა გადასცენ უსკოს ამომრჩეველთა ერთიანი (საბაზისო) სიის ფორმები და მოქალაქეთა საარჩევნო რეგისტრაციის განაცხადების ფორმები (ფორმა №4-2.02.02), რომელიც სათანადო წესით იქნება შეკრული და აკინძული.

10. უსკო ვალდებულია არაუგვიანეს 2004 წლის 9,11 და 14 ივნისისა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას გადასცეს უბნების საბაზისო სიები (ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმები – ფორმა № 4- 1.03.01) და მოქალაქეთა საარჩევნო რეგისტრაციის განაცხადების ფორმები (ფორმა № 4 – 2.02.02), რომელიც სათანადო წესით იქნება შეკრული და აკინძული.

11. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ვალდებულია არაუგვიანეს 2004 წლის 16 ივნისისა გადასცეს უსკოს ამომრჩეველთა ერთიანი სიის ნაბეჭდი სიის ფორმები (კედელზე გამოსაკრავი ფორმა №4-1.01.01 და სამაგიდო ფორმა №4-1.02.01).

12. უსკო ვალდებულია არაუგვიანეს 2004 წლის 16 ივნისისა გადასცეს საოლქო საარჩევნო კომისიებს ამომრჩეველთა ერთიანი სიის ნაბეჭდი სიის ფორმები (კედელზე გამოსაკრავი ფორმა № 4–1.01.01 და სამაგიდო ფორმა № 4–1.02.01).

13. საოლქო საარჩევნო კომისიები ვალდებულნი არიან არაუგვიანეს 2004 წლის 17 ივნისისა გადასცეს შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიებს ამომრჩეველთა ერთიანი სიის ნაბეჭდი სიის ფორმები (კედელზე გამოსაკრავი ფორმა № 4 – 1.01.01 და სამაგიდო ფორმა № 4 – 1.02.01).

14. საუბნო საარჩევნო კომისია არაუგვიანეს 17 ივნისისა, ვალდებულია გამოაკრას საჯარო ინფორმაციისათვის განკუთვნილი ამომრჩეველთა ერთიანი სიის (კედელზე გამოსაკრავი ფორმა) ფორმა (ფორმა № 4– 1.01.01). ამომრჩეველთა

ერთიანი სია უნდა გამოიკრას საუბნო საარჩევნო კომისიის შენობაში თვალსაჩინო ადგილას.

15. 17 ივნისიდან 19 ივნისის ჩათვლით კანონით განსაზღვრულ პირებს უფლება აქვთ გაეცნონ საუბნო საარჩევნო კომისიებში არსებულ საჯარო ინფორმაციისათვის განკუთვნილ ამომრჩეველთა სიებს და უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში მოითხოვონ მათში ცვლილებების შეტანა, ან რაიონულ/საქალაქო სასამართლოში იმავე დღეს გაასაჩივრონ საარჩევნო ადმინისტრაციის უარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №5) მისი გამოქვეყნებიდან 3 კალენდალური დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე	ირაკლი ფაღავა
კომისიის მდივანი	გიზო მჭედლიძე